„ალადინი“ და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება

სამუშაო ფურცლები

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

სარჩევი:

დავალება # 1

დავალება # 2

დავალება # 3

დავალება # 4

დავალება # 5

დავალება # 6

დავალება # 7

დავალება # 8

დავალება # 9

დავალება # 10

დავალება # 11

დავალება # 12

დავალება #1

1. დააკვირდით მე-4 სლაიდს და აღწერეთ:

თაღის, სარკმლის, კარის ფორმა ----------

ვაჭრის ჩაცმულობა ----------

2. პირველ დავალებაში თქვენ მიერ ჩამოწერილი განსაზღვრებები რომელ ქვეყანას/კულტურას შეესაბამება?

---

3. დაასახელეთ საქართველოს რომელიმე ქალაქში/დაბაში/სოფელში მდებარე თქვენთვის ნაცნობი კონკრეტული შენობა, რომელიც ისლამური არქიტექტურის ნიმუშია ან ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა.

დავალება #2

1. დააკვირდით მე-5 სლაიდზე გამოსახულ სასახლეს. თქვენი დავალებაა სასახლის ექსტერიერის აღწერა და არქიტექტურული თავისებურებების ამოცნობა, დასახელება და ჩაწერა.

---

2. სულთნის სასახლე თქვენთვის ნაცნობ რომელ შენობას ჰგავს?

---

3. ჩამოწერეთ თქვენი ვარაუდები, თუ როგორ იყო შესაძლებელი ისლამური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ინდოეთში დამკვიდრებულიყო.

---

4. დააკვირდით მე-6 სლაიდზე გამოსახულ სასახლის ინტერიერს. თქვენი დავალებაა სასახლის ინტერიერის აღწერა, დეკორატიული თავისებურებების ამოცნობა, დასახელება და ჩაწერა.

დავალება #3

1. რა ფუნქცია აქვს ორნამენტს?

---

2. რა ჰქვია ისლამური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ორნამენტს?

---

3. რას ეწოდება მუშარაბი?

---

4. თქვენ წინაშეა ისპაანის შაჰის მეჩეთის ფასადის ნაწილი. როგორც ხედავთ, ის შეისრული თაღისგან, მუშარაბებისგან და არაბესკებისგან შედგება. თქვენი დავალებაა, ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით, მოცემული ილუსტრაციის გაფერადება. დავალების შესრულებამდე გაიხსენეთ, დაასახელეთ და ჩამოწერეთ, რომელი ფერები განეკუთვნება ძირითად და შედგენილ ფერებს.

ძირითადი ფერებია: ----------

შედგენილი ფერებია: ----------



დავალება # 4

„ალადინის“ ანიმაციაში ახლო აღმოსავლეთის გამოგონილ ქალაქ აგრაბაში ხდება მოქმედება. „აგრაბა“ არაბულიდან ქართულად უცნაურს ნიშნავს. თქვენი დავალებაა ქალაქის სახელწოდების კალიგრაფიულად დაწერა და არაბესკებით გაფორმება.

პრაქტიკული სამუშაოს ინსტრუქცია: იმისთვის რომ დავალება შეასრულოთ, თავდაპირველად, საჭიროა სამხატვრო მასალების (ფურცელი, შავი ფანქარი, ფლომასტერი, ფერადი ფანქრები, პასტელები) ორგანიზება. ამის შემდეგ შეგიძლიათ ფურცლის შუა ნაწილში უბრალო შავი ფანქრით სამი მკრთალი ხაზის გავლება, რათა “აგრაბას” კალიგრაფიულად დაწერა გაგიადვილდეთ. ასოების პროპორციები და მოხაზულობა თქვენ თვითონ განსაზღვრეთ. მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ ასოები ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს, რათა ქალაქის სახელწოდება წაკითხვადი იყოს. სიტყვის ფურცლის ცენტრში დაწერის შემდეგ, ეცადეთ, სახელწოდება, “აგრაბა”, ისლამური კულტურისთვის დამახასიათებელი ორნამენტით - არაბესკებით გააფორმოთ. არაბესკის შესაქმნელად, თავდაპირველად, ორნამენტების შავი ფანქრით გამოსახვა დაგჭირდებათ, ხოლო შემდეგ ფერადი ფანქრების, ფლომასტერების ან პასტელების დახმარებით გაფერადება. დავალების შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მე-4 დავალებისთვის გამოყოფილი თავისუფალი არე.

სახატავი არე ჩანახატისთვის

დავალება # 5

დააკვირდით მე-7 და მე-8 სლაიდზე გამოსახულ ქალაქ აგრაბას ურბანულ დაგეგმარებას და შეასრულეთ დავალებები.

1. მე-7 სლაიდის გამოყენებით შეეცადეთ, ზედხედით დანახული ქალაქი აგრაბა აღწეროთ.

   ---

2. მე-8 სლაიდზე დაკვირვებით ჩამოწერეთ, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ბრტყელი გადახურვის მქონე საცხოვრებელ სახლს.

   ---

3. რა ერქვა, ძველად, თბილისში ბრტყელი გადახურვის მქონე სახლებს და როგორ იყენებდა მას მოსახლეობა?

_____
_____
_____

დავალება # 6

მე-9, მე-10, მე-11 სლაიდების გამოყენებით შეეცადეთ აღწეროთ და დაახასიათოთ, როგორია აღმოსავლური ქალაქის ბაზარი. ყურადღება მიაქციეთ დეტალებს: სავაჭრო დახლებს, გასაყიდ ნივთებსა და პროდუქტებს.

დავალება # 7

დააკვირდით მე-12 სლაიდს და უპასუხეთ კითხვებს.

1. გაიხსენეთ, რა ჯადოსნური თვისებები აქვს ალადინის ხალიჩას?

   ---

2. გაიხსენეთ, რას ნიშნავს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და ამავე კონტექსტში იმსჯელეთ ხალიჩის, როგორც ყოფითი დანიშნულების მქონე ნივთის, შესახებ.

   ---

3. ხმოვნების გამოყენებით უნდა გამოიცნოთ ხალიჩის მსგავსი ნივთის სახელი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქსოვდნენ.

   ფ---რდ---გ---

4. თქვენ გარშემო, ქალაქად ან სოფლად, თუ შეგინიშნავთ იმ ტიპის ხალიჩები, რომელიც ფერადოვანი, აღმოსავლური, გეომეტრიული ან მცენარეული ორნამენტული გადაწყვეტით გამოირჩევა? შეგიძლიათ აღწეროთ?

დავალება # 8

დააკვირდით მე-12 და მე-13 სლაიდებს. გაიხსენეთ, თქვენ თუ გქონიათ ნივთი, რომლისთვისაც რაიმე განსაკუთრებული თვისება მიგინიჭებიათ? რა თვისება იყო და რატომ გადაწყვიტეთ ასე?

დავალება # 9

დააკვირდით მე-14 სლაიდს, რომელზეც ჭადრაკის თამაშია წარმოდგენილი. შეეცადეთ აღწეროთ სცენა:

1. როგორ ფიქრობთ, ვინ იგებს ჭადრაკის პარტიას? დაასახელეთ საჭადრაკო პოზიცია.

   ---

2. გაიხსენეთ, რომელი აზიური ქვეყანები განიხილება ჭადრაკის შექმნის ადგილად.

დავალება # 10

მე-15 სლაიდის დახმარებით დაახასიათეთ ჯაფარის, იაგოსა და სულთნის პერსონაჟები. ჩამოწერეთ, ვის მიიჩნევთ დადებით და უარყოფით გმირებად. რატომ ფიქრობთ ასე?

დავალება # 11

მე-16 სლაიდის გამოყენებით იმსჯელეთ პერსონაჟების ჩაცმულობაზე.

1. აღწერეთ, რით განსხვავდება აღმოსავლური სამოსი და ფეხსაცმელი თქვენთვის ნაცნობი ტრადიციული დასავლური ჩაცმის სტილისგან?

---

2. დააკვირდით მე-16 სლაიდს და შეეცადეთ აღწეროთ ჯინის ფეხსაცმელი.

---

3. ჯინს სპარსული ყაიდის ფეხსაცმელი აცვია, რომლის მსგავსიც საქართველოშიც იყო გავრცელებული. ხმოვნების გამოყენებით შეეცადეთ გამოიცნოთ ფეხსაცმლის ქართული სახელწოდებები.

   ქ--ლ--მ--ნ-- წ--ღ--

4. მიღებული სიტყვებით შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები.

ძველად, საქართველოში ფეხსაცმელებს სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა. იტალიელი მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის აღწერით, მაგალითად, სამეგრელოში ქალები ცხენოსნობის დროს (1)------ ატარებდნენ. ფეხსაცმლის ყელი მხოლოდ წვივებს ფარავდა, რომელიც ოქროთი და ძვირფასი თვლებით იყო მორთული.
რაც შეეხება (2)----------, საქართველოს მთისა და ბარის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ფორმა ჰქონდა. ასევე არსებობდა (3) ------ დამზადების სხვადასხვა ტექნიკაც. თუმცა, ორივე ფეხსაცმლის, (4)------ და (5)----------, ძირითად მასალას ტყავი შეადგენდა.

დავალება # 12

გაკვეთილის შეჯამება: კროსვორდის შევსება

თქვენი დავალებაა კროსვორდის შევსება. ამისთვის კი საჭიროა, ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებისა და ისლამური კულტურის შესახებ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა გამოიყენოთ. თითოეული კროსვორდის მთავარი სიტყვა „ალადინის“ ანიმაციის პერსონაჟის სახელია. ხოლო კროსვორდის შესავსებად საჭირო სხვა სიტყვები გაკვეთილზე შესწავლილ თემას ეხება. კროსვორდი წყვილებში ან ჯგუფურად შეგიძლიათ შეავსოთ.

#1

1. რა ეწოდება ისლამური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ორნამენტს?
2. რას უწოდებდნენ ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში სახელმწიფოს მმართველს?
3. დაასახელეთ ფარდაგის მსგავსი ნივთი, რომელიც ანიმაციის პერსონაჟია.
4. გარდა ახლო აღმოსავლეთისა, „ალადინის“ ანიმაციაში კიდევ რომელი ქვეყნის კულტურის ნიშნები იკითხება?
5. რა ჰქვია ინდოეთის ქალაქ აგრაბაში აშენებულ ცნობილ მავზოლეუმს?
6. დაასახელეთ სპარსეთის თანამედროვე სახელწოდება.
7. რა ეწოდება ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ფანჯარას, რომელსაც ფერადი მინები აქვს?



#2

1. რა არის სიტყვის „დრო“ სინონიმი?
2. რას უწოდებდნენ საქართველოში ტყავისგან დამზადებულ ფეხსაცმელს?
3. „ალადინის“ ანიმაციაში ინდოეთთან ერთად კიდევ რომელი ქვეყნის კულტურის ნიშნები იკითხება?
4. რა ეწოდება გამოსახულებას, რომელიც ხელნაწერ წიგნებშია ჩართული?
5. ქალაქი აგრაბას რომელმა ადგილმა მოახდინა ჟასმინზე შთაბეჭდილება?
6. რა ეწოდება ბრტყელ გადახურვას, რომელიც ძველად, თბილისში, სახლებს ჰქონდა?
7. რა ჰქვია რიტმულად განმეორებად ელემენტს, რომელიც რაიმეს შესამკობად გამოიყენება?



#3

1. დაასახელეთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია.
2. რა ჰქვია ისლამური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ისრისებრ თაღს?
3. რას უწოდებდნენ საქართველოში ტყავისგან დამზადებულ ფეხსაცმელს?
4. რა ჰქვია მუსლიმთა საკულტო ნაგებობას?
5. „ალადინის“ ანიმაციაში ინდოეთთან ერთად კიდევ რომელი ქვეყნის კულტურის ნიშნები იკითხება?
6. რა ეწოდება შენობის შიდა სივრცეს?
7. რა ეწოდება შენობის გარეთა ნაწილს?



#4

1. დაასახელეთ სპარსეთის მმართველი დინასტია, რომლის დამაარსებელიც აღა-მაჰმად-ხანი იყო.
2. დაასახელეთ არქიტექტურული დეტალი, რომელიც კედლებს ან ორ სვეტს ეყრდნობა.
3. დაასახელეთ გრაფიკული ხელოვნების დარგი, რომელსაც მეორენაირად წერის ხელოვნებას უწოდებენ.
4. დაასახელეთ სიტყვის „ხუროთმოძღვრება“ სინონიმი.
5. დაასახელეთ ნივთი, რომელიც ანიმაციის მიხედვით ჯინის საცხოვრებელი ადგილია.
6. დაასახელეთ სპარსეთის თანამედროვე სახელწოდება.



#5

1. დაასახელეთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია.
2. აზიის რომელი ნაწილის კულტურაა „ალადინის“ ანიმაციაში წარმოდგენილი?
3. დაასახელეთ კონსტრუქციული თაღოვანი ელემენტი, რომელიც შენობის გადახურვისთვის გამოიყენება.
4. რა ჰქვია რიტმულად განმეორებად ელემენტს, რომელიც რაიმეს შესამკობად გამოიყენება?



#6

1. რა ეწოდება ისლამური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ორნამენტს?
2. რა ეწოდება ბრტყელ გადახურვას, რომელიც ძველად, თბილისში, სახლებს ჰქონდა?
3. დაასახელეთ სპარსეთის მმართველი დინასტია, რომლის დამაარსებელიც აღა-მაჰმად-ხანი იყო.
4. დედამიწის ვრცელი ნაწილი, რომელიც ევროპასთან ერთად ქმნის ევრაზიის კონტინენტს.



#7

1. აზიის რომელი ნაწილის კულტურაა „ალადინის“ ანიმაციაში წარმოდგენილი?
2. დაასახელეთ არქიტექტურული დეტალი, რომელიც კედლებს ან ორ სვეტს ეყრდნობა.
3. ინტელექტუალური თამაში, რომლის წარმოშობის ადგილად არაბეთი, ინდოეთი და სპარსეთი განიხილება.
4. რა ეწოდება ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ფანჯარას, რომელსაც ფერადი მინები აქვს?
5. რა ეწოდება ისლამის წმინდა წიგნს?
6. რომელი ქალაქი გამოაცხადა შაჰ-აბას I-მა 1598 წელს იმპერიის დედაქალაქად?



#8

1. დაასახელეთ ხალიჩის მსგავსი ნივთი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქმნებოდა.
2. რა ეწოდება ბრტყელ გადახურვას, რომელიც ძველად, თბილისში, სახლებს ჰქონდა?
3. რა ეწოდება გამოსახულებას, რომელიც ხელნაწერ წიგნებშია ჩართული?



#9

1. დაასახელეთ სპარსეთის მმართველი დინასტია, რომლის დამაარსებელიც აღა-მაჰმად-ხანი იყო.
2. რა ეწოდება შენობის გარეთა ნაწილს?
3. რა ეწოდება შენობის შიდა სივრცეს?
4. რა ეწოდება ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფანჯარას, რომელსაც ფერადი მინები აქვს?



#10

1. დაასახელეთ სპარსეთის მმართველი, ყაჯარის დინასტიის, დამაარსებელი.
2. რა ეწოდებოდა სპარსეთის მმართველს?
3. რას უწოდებდნენ საქართველოში ტყავისგან დამზადებულ ფეხსაცმელს?
4. „ალადინის“ ანიმაციაში სპარსეთთან ერთად კიდევ რომელი ქვეყნის კულტურის ნიშნები იკითხება?
5. მამაკაცის თავსაბურავი, რომელიც ისლამის მიმდევართა შორის იყო გავრცელებული.
6. რა ეწოდება ბრტყელ გადახურვას, რომელიც ძველად, თბილისში, სახლებს ჰქონდა?